

ცვლილება მთავრობაში და საბანკო რეჟიმი ჭანდაცვაში

ნათია მსხილაძე

საქართველოს მთავრობაში ცვლილებები: ფინანსთა მინისტრი დიმიტრი გვინდაძე ენერჯეტიკის მინისტრმა ალექსანდრე ხეთაგურმა შეცვალა, ხოლო ენერჯეტიკის სფერო პარლამენტარმა ვახტანგ ბალაყაძემ ჩაიბარა.

სამთავრობო ცვლილებების შესახებ განცხადება ოზურგეთში მყოფმა პრემიერმინისტრმა ადგილობრივ ფერმერებთან შეხვედრისას გააკეთა. მანვე ისიც აღნიშნა, რომ ფინანსთა ყოფილ მი-

ნისტრს დიმიტრი გვინდაძეს ორ დღეში ახალ თანამდებობაზე წარადგენს. "დიმიტრი გვინდაძეს, რომელმაც ბევრი საქმე გააკეთა ფინანსთა მინისტროში - როგორც შემოსავლების, ისე საქართველოს რეიტინგების ზრდის, საქართველოში სტაბილური ფინანსური სისტემების ჩამოყალიბებაში, ჩვენ ახალ, ძალიან საინტერესო თანამდებობას ვუზღავდით და ამის პრეზენტაციას მე გავაკეთებ თბილისში, 2 დღის შემდეგ," - აღნიშნა ვანო მერაბიშვილმა.

გაზრდა 80-3 გვერდი

"ბრიტანული მუსიკის სიმფონია"

27 ივლისს მსოფლიო ლონდონის ოლიმპიური თამაშების გახსნის გრანდიოზული ცერემონიალი იხილა. არანაკლებ პომპეზური და ეფექტური გამოდგა 12 აგვისტოს გამართული დახურვის ლონდონის ცერემონია.

30-ე ოლიმპიური თამაშების დახურვის ცერემონიაში, რომლის სახელწოდებაც იყო "ბრიტანული მუსიკის სიმფონია", 4 ათას ადამიანთან ერთად, ბრიტანეთის პოპ და როკ ვარსკვლავებმა მიიღეს მონაწილეობა.

ლონდონის დასაწყისში სცენა, რომელიც, ისევე როგორც გახსნის ცერემონიაზე, ლონდონის არქიტექტურული ღირსშესანიშნაობებით იყო გაფორმებული, გაზეთებში გახვეული ხალხითა და მანქანებით ქაოსურად შეივსო.

გაზრდა 80-12 გვერდი



ძლიერი მიწისძვრა ირანში

4



1 აშშ დოლარი	1.6433*
1 ევრო	2.0185*
1 ინგლისური გირვანქა	2.5840*
1 თურქული ლირა	0.9182*
100 რუსული რუბლი	5.1518*

თბილისი	36°C - 24°C
ქუთაისი	33°C - 22°C
თელავი	37°C - 24°C
ზუგდიდი	32°C - 23°C
ბათუმი	28°C - 24°C

ნავთობი	3.03	+0.01	+0.44%
გაზი	2.76	-0.01	-0.44%
ოქრო	1,619.70	-1.00	-0.06%
ხორბალი	871.50	-13.75	-1.58%

ქაცხაია ლონდონის მატროში, ჭანტურია - "არსენალში"

გიგა ბურასაშვილი ლონდონიდან

მე, როგორც ოლიმპიური თამაშების უბილეთო მგზავრი, რომელიც ცნობისმოყვარეობას აღმა-დაღმა სიარულში ვიკმაყოფილებ, გზადაგზა

რაცაღებდა ვაწყებდი. დღეს ბრიტანეთის სახელმწიფო მუზეუმიდან გამოსულს, შთაბეჭდილებებით სავსეს, "ანდერგრაუნდში" ერთი შუახსნის მამაკაცი მომხვდა თვალში.

გაზრდა 80-10 გვერდი



პოლ რაიანი რესპუბლიკელთა ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატი გახდა

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატმა რესპუბლიკური პარტიიდან მიტ რომნიმ ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე პოლ რაიანის კანდიდატურა წარადგინა. 42 წლის რაიანი კონგრესში ვინსკონსინის შტატიდან. ეს განცხადება რომნიმ შაბათს გამართული ცერემონიის წინ გააკეთა, რომელიც ნორფოლკში, ვირჯინიის შტატში ჩატარდა. თავად მიტ რომნი 6 ნოემბერს საპრეზიდენტო არჩევნებში კონკურენციას აშშ-ს ახლანდელ პრეზიდენტს ბარაკ ობამას გაუწევს.



გაზრდა 80-5 გვერდი

ელექტრონული განვითარების საბიზნოსო სინდიკატი

ბელა ჩაქარაშვილი

ერთიანი ელექტრონული ბიზნოსოგრაფიული კორპორაციის შექმნა საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ ბოლნისის რაიონულ ბიბლიოთეკაში დაიწყო. ელექტრონული განვითარების სინდიკატი, რომელიც ეროვნულ ბიბლიოთეკაში შეიქმნა, გულისხმობს ერთიანი ეროვნული ბაზის შექმნას, რომელიც გააერთიანებს ბიბლიოგრაფიას, კატალოგებს, ტექსტებს და ფოტომატერიალს. ბაზა ხელმისაწვდომი იქნება მკითხველისათვის როგორც ინტერნეტის, ასევე საბიბლიოთეკო ინტერნეტის საშუალებით. ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის, გიორგი კეკელიძის თქმით, ელექტრონული განვითარების სინდიკატი განვერდიანდება საქართველოს რეგიონების ბიბლიოთეკებში, სადაც დაინება ყველა იმ მასალის გაცეფრება, რომელიც უნიკალურია, ან



დაზიანების საფრთხის წინაშე დგას, ანდა იშვიათობას წარმოადგენს და რომელიმე ერთი კონკრეტული ბიბლიოთეკის საკუთრებაა.

გაზრდა 80-7 გვერდი

"24 საათი" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე www.24saati.ge ჩვენი პარტნიორები:

ISSN 1987 9121
9 771987 912100

ჭარიმას ჭარიმა ემატება

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ ბიძინა ივანიშვილის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილება - "ქართული ოცნების" ლიდერის 20 243 827 ლარით დაჯარიმების თაობაზე, ივანიშვილის ადვოკატებმა თბილისის სააპელაციო სასამართლოში გადასაჩივრეს.

სასამართლომ ბიძინა ივანიშვილი სამართალდამრღვევად ცნო და უკანონო შემონიშნულობის ხუთმაგი ოდენობით დააჯარიმა. იმ შემთხვევაში, თუ ბიძინა ივანიშვილი მისთვის დაკისრებულ ჯარიმას 7 დღის ვადაში არ გადაიხდის, დაიწყება კანონით გათვალისწინებული სააღსრულებლო პროცედურები - დაყვადლება მისი ქონება, რომელიც აუქციონზე გაიყიდება.

თბილისის საქალაქო სასამართლომ სამართალდამრღვევად ცნო და 17 მილიონამდე ლარი ჯარიმა დააკისრა კახა კალაძესაც. სასამართლოს გადაწყვეტილებით, დაყვადდება კალაძის

უძრავ-მოძრავი ქონება.

სასამართლომ როგორც ივანიშვილთან, ისე კალაძესთან დაკავშირებით აღნიშნული გადაწყვეტილება აუდიტის სამსახურის ოქმის საფუძველზე მიიღო, რომლის მიხედვითაც, "ქართული ოცნების" ლიდერებმა საკუთარი საბანკო ანგარიშებიდან გამოტანილი ნაღდი ფული "ქართული ოცნების" უკანონო შემონიშნულობისთვის გამოიყენეს. აუდიტის სამსახური ივანიშვილს და კალაძეს საკუთარი ანგარიშებიდან გატანილი თანხების უკან დაბრუნებას სთხოვდა, თუმცა "ქართული ოცნების" ლიდერებმა მოთხოვნა უკანონოდ მიიჩნი-

ეს და ის არ შეასრულეს, რის შემდეგაც, აუდიტის სამსახურმა სასამართლოს მათი დაჯარიმების მოთხოვნით მიმართა.

მართალია, "ქართული ოცნების" დაჯარიმებული ლიდერები პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას თბილისის სააპელაციო სასამართლოში ასაჩივრებენ, მაგრამ პარალელურად ჯარიმის გადახდას მაინც აპირებენ.

"ბიძინა ივანიშვილი და კახი კალაძე მზად არიან, კახეთში სტიქიის შედეგად დაზარალებულთა სრული კომპენსირებისთვის, სახელმწიფო ბიუჯეტში დამატებითი თანხები გადარიცხონ," - ამის შესახებ ტრადიციულ პრესკონფერენციაზე კოალიცია "ქართული ოცნების" პრესსპიკერმა მაია ფანჯიკიძემ განაცხადა.

მისივე განმარტებით, თუ

ხელისუფლება მიიჩნევს, რომ ეს თანხა დაზარალებულთათვის სრული კომპენსაციისთვის საკმარისი არ არის, ბიძინა ივანიშვილი და კახი კალაძე, რომელთაც ახალი ჯარიმები აქვთ დაკისრებული, ამ თემას კვლავ გადახედავენ.

"თუ ხელისუფლება მიიჩნევს, რომ თანხა არასაკმარისია იმისათვის, რომ დაზარალებულთა სრული კომპენსაცია მოხდეს, ბიძინა ივანიშვილი და კახა კალაძე, რომელთაც ახალი ჯარიმები აქვთ დაკისრებული, ამ თემას კიდევ ერთხელ გადახედავენ და შეიძლება 80 მილიონ ლარს კიდევ უფრო მეტი დაემატოს. მთავარი არის ის, რომ კახეთის მოსახლეობას სრულად აუნაზღაურდეს ზარალი, რომელიც მიიღო," - განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

ომბუდსმენის რეკომენდაციები მთავარ პროკურორს

საქართველოს სახალხო დამცველმა, მსჯავრდებულ ვ.ი.-ს მიმართ განხორციელებული უფლებადარღვევის ფაქტთან დაკავშირებით, მთავარ პროკურორს მურთაზ ზოდელავას გამოძიების დაწყების რეკომენდაციით მიმართა.

როგორც ომბუდსმენის რეკომენდაციაშია ნათქვამი, სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა N8 დანესებულე-ბაში განთავსებული მსჯავრდებულის ვ.ი.-ს ადვოკატმა. განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ მსჯავრდებული დაავადებულია ტუბერკულოზით და მიუხედავად ამისა, 14 დღის განმავლობაში ის განთავსებული ჰყავდათ N8 დანესებულების სარდაფში.

"2012 წლის 2 აგვისტოს სახალხო დამცველის რწმუნებულები შეხვდნენ და გაესაუბრნენ N8 დანესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულს ვ.ი.-ს მისი თქმით, დაახლოებით ორი კვირის წინ, მას შელაპარაკება მოუვიდა თავის თანასაკნელთან, რის გა-

მაც, N8 დანესებულების თანამშრომელმა დასჯის მიზნით, ორი კვირის განმავლობაში განათავსა ე.წ. ბოქსში, სადაც მსჯავრდებულს არ ჰქონდა არც საწოლი, არც ლეიბი, არც გადასაფარებელი და ეძინა იატაკზე. მსჯავრდებულის გადმოცემით, ამ ხნის მანძილზე იგი ექიმსაც არ უნახავს," - აცხადებს ომბუდსმენი გიორგი ტუღუშვილი და მომხდარი სამართალდარღვევის გამო, მთავარ პროკურორს გამოძიების დაწყების რეკომენდაციით მიმართავს.

მთავარ პროკურორს ომბუდსმენმა კიდევ ერთი რეკომენდაცია გაუგზავნა. საქმე ისაა, რომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინ-

გის დეპარტამენტის თანამშრომლები შეხვდნენ სასჯელ-ლალსრულების დეპარტამენტის N8 დანესებულებაში მყოფ მსჯავრდებულ პ.ბ.-ს. მსჯავრდებულის განმარტებით, 2012 წლის 15 ივლისს დანესებულების ერთ-ერთი ოფიცერი იმყოფებოდა შევებულებაში და მას ცვლიდა ოფიცერი ნიკა თოლორდავა. პატიმრის გადმოცემით, 15 ივლისს, დაახლოებით 20:30 საათზე, იგი თავის ორ თანასაკნელთან ერთად საპირფარეოში ეწვოდა სიგარეტს, რადგან საკანში მოწვევა აკრძალულია ადმინისტრაციის მიერ. აღნიშნულის გამო ოფიცერმა ნიკა თოლორდავამ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა პატიმრებს, გამოიყვანა ისინი საპირფარეოშიდან, დასჯის მიზნით დააყენა ფეხზე ორ მწკრივად და ასეთ მდგომარეობაში ამყოფა დაახლოებით 2 საათნახევარი

მსჯავრდებულ პ.ბ.-ს გან-

მარტებით, მეორე დღეს, როდესაც საკანში მყოფი პატიმრები გაყავდათ სასიერო ეზოში, ფეხის ტკივილის გამო იგი მოძრაობდა აჩქარებული ნაბიჯით და არა სირბილით, მსჯავრდებულის თქმით, სეირნობის დროს მსჯავრდებულებს სირბილს აიძულებენ. ამის გამო, ოფიცერმა ნიკა თოლორდავამ მსჯავრდებული პ.ბ. თანასაკნელებთან ერთად დააბრუნა საკანში და კვლავ ფეხზე დგომით დასაჯა, რაც დაახლოებით 2 საათი გრძელდებოდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველის რწმუნებულები შეხვდნენ და გაესაუბრნენ N8 დანესებულების D-63 საკანში განთავსებულ პატიმრებს: დ. თ.-ს, გ. მ.-ს და გ. ტ.-ს, რომლებმაც დაადასტურეს ზემოაღნიშნული ფაქტები. ომბუდსმენი მომხდარი ფაქტის გამო მთავარ პროკურორს გამოძიების დაწყების რეკომენდაციით მიმართავს.

"ახლებმა" საარჩევნო პროგრამა წარადგინეს

"შეძლებული ოჯახი სოფლად და ქალაქად" - ეს "ახალი მემარჯვენეების" წინასაარჩევნო სლოგანი იქნება. წინასაარჩევნო პროგრამის პრეზენტაცია გუშინ პარტიის ლიდერმა დავით გამყრელიძემ გამართა.

გამყრელიძის თქმით, ამ პროგრამაზე, რომელიც 108 გვერდს მოიცავს, "ახალი მემარჯვენეები" ერთი წლის განმავლობაში მუშაობდნენ. პარტიის ლიდერის განმარტებით, დოკუმენტი მოსახლეობის ყველა ჯგუფის ინტერესებსა და მოთხოვნებს ეხმიანება. მისივე თქმით, პრაქტიკულად, ყოველსამომცველ პროგრამაში მოცემულია ის გზები და საშუალებები, რომლებითაც "ახალი მემარჯვენეები" თავიანთი საარჩევნო სლოგანის განხორციელებას გეგმავენ.

"შეძლებული ოჯახი ნიშნავს დასაქმებულ და ღირსეული შემოსავლის მქონე ოჯახს, რომლის შემოსავალი თვეში, მინიმუმ, 1 000 ლარია; ოჯახის თითოეული წევრისთვის გარანტირებულ სამედიცინო მომსახურებას და ზღვევის თუ სახელმწიფო პროგრამების მეშვეობით; ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობას, ვისაც ამის სურვილი და მისწრაფება აქვს; ოჯახის ხანდაზმული წევრებისთვის გარანტირებული არა მხოლოდ არსებობას, არამედ ღირსეულ ცხოვრებას უზრუნველყოფს," - განაცხადა დავით გამყრელიძემ.

მისი თქმით, ყოველივე ამის მიღწევას "ახალი მემარჯვენეები" აპირებენ სტაბილური და უსაფრთხო სახელმწიფოს შექმნით, რომლის გარანტიც ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანება, რეალური, ლიბერალური დემოკრატიის დამკვიდრება და თავისუფალი კონკურენციის პრინციპზე დამყარებული საბაზრო ეკონომიკის განვითარებაა.

"ახალი მემარჯვენეების" პროგრამის მიხედვით, ძირითადი გათვლა გაკეთებულია ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნასა და მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე, რაც, გამყრელიძის განცხადებით, მთელ მსოფლიოში დასაქმების უმთავრესი საშუალებაა.

"ასომეხთვად პრესი" საქართველოს შესახებ სტატიას აქვეყნებს

საქართველოში არსებულ პოლიტიკურ და მედიაგარემოზე "ასომეხთვად პრესი" სტატიას აქვეყნებს. პუბლიკაციის ავტორი მარია დანილოვა ქვეყანაში ბოლო პერიოდში განვითარებულ მოვლენებს მიმოიხილავს და აღნიშნავს, რომ ჟურნალისტიკისთვის ხელშემშლის ფაქტები გახშირდა.

როგორც სტატიის ავტორი, ადამიანები, რომლებიც ამბობენ, რომ ჟურნალისტიკა არიან, ერთმანეთს სახეში მიკროფონებს აჩეჩებენ და უაზრო კითხვებითა და ვულგარული შენიშვნებით თავს აბეზრებენ. ამ თემებზე "ასომეხთვად პრესი" საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანს ესაუბრა. გიგა ბოკერია სიტყვის თავისუფლების საფრთხის ქვეშ ყოფნას უარყოფს და ამბობს, რომ რეალურად მთავრობა იტანს უნესრიგო და ყველაფერზე წამსვლელ მედიაგარემოს.

"ქართული მედია არის ძალიან აქტიური, კრიტიკული და ხანდახან ამჟამინდელი მთავრობის მიმართ აგრესიულ გზავნილებსაც ავრცელებს, რაც სრულიად ლეგიტიმური და კანონიერია," - აცხადებს ბოკერია.

გიგა ბოკერია ახლახან მიღებულ კანონს ახსენებს, რომელმაც მთავრობისადმი კრიტიკული სატელევიზიო არხების ხელმისაწვდომობა გაზარდა. სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ ასე იქნება არჩევნებამდე ორი თვის განმავლობაში და ეს ფაქტი უშიშროების საბჭოს მდივანს თავისუფალი სიტყვისადმი მთავრობის ერთგულების დასტურად მოჰყავს.

შპს "აგრიჯორჯია" უსამძიობებს მალხაზ დანელიას ოჯახსა და მეგობრებს.

2012 წლის 7 აგვისტოს ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭითანყარში ელექტროენერჯის გადამცემი ხაზის სარემონტო სამუშაოების წარმოებისას მალხაზაში შემთხვევით შეეხო მაღალი ძაბვის ხაზს, რომელიც კვეთს საწარმის მურნეობას. მან მიიღო ელექტრო შოკი, რაც დასრულდა ფატალური შედეგით.

2007 წელს შპს "აგრიჯორჯიას" დაფუძნებიდან მოყოლებული შპს "აგრიჯორჯია" პერიოდულად სარგებლობდა მალხაზ დანელიას მომსახურებით.

ჩვენ მოვიგონებთ და ვლოცულობთ მალხაზზე, მის ოჯახსა და მეგობრებზე ამ ურთულეს დროს.

AgriGeorgia LLC wishes to extend its sincere deepest condolences to the family and friends of Malkhaz Danelia.

Malkhaz incidentally touched high voltage line passing through the nursery when he was working on the reparation of electricity line in the village Chitatskari, Zugdidi District on August 07, 2012. He had an electric shock which ended with fatal consequences.

AgriGeorgia LCC was contacting Malkhaz Danelia for services from time to time by from year 2007, the date of its establishment.

Our thoughts and prayers are with Malkhaz, his family and friends at this most difficult time.

ემზარ ძირკვაძე

10 აგვისტოს 53 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი - ემზარ ძირკვაძე. ემზარ ძირკვაძე დაიბადა 1959 წლის 2 მაისს ხულოს რაიონის სოფ. დანისპარაულში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს სახელმწიფო აგრორულ უნივერსიტეტში მექანიზაციის ფაკულტეტზე.

2005 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

2004-2005 წლებში ემზარ ძირკვაძემ არასამთავრობო ორგანიზაცია "მთიანი რეგიონების განვითარების საერთაშორისო ასოციაციის" აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში, მნიშვნელოვანი როლი შეიტანა მთიანი რეგიონების განვითარების საქმეში. 2006 წლიდან ემზარ ძირკვაძე მუშაობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების სამმართველოში.

2008 წლის 27 თებერვალს, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით ემზარ ძირკვაძე დაინიშნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრად. დანიშნვის დღიდან ის მთელ თავის ცოდნას და გამოცდილებას ახმარდა აჭარის რეგიონში სოფლის მეურნეობის განვითარებას. მისი ხელმძღვანელობით მრავალი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. 2011 წლიდან ემზარ ძირკვაძე მუშაობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მრჩეველად, ხოლო 2012 წლიდან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელად. ემზარ ძირკვაძის უშუალო ხელმძღვანელობით, 2003-2005 წლებში სოფლის მეურნეობაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვისა და ფერმერთა სწავლება-კონსულტაციების ხელშეწყობის 5 საგარანტო პროექტი განხორციელდა.

ემზარ ძირკვაძემ - როგორც მეცნიერმა და პედაგოგმა, თავისი წვლილი შეიტანა სამეცნიერო პოტენციალის განვითარებასა და სტუდენტების აღზრდაში. გამოქვეყნებული აქვს 2 სახელმძღვანელო, 1 მონოგრაფია, 4 დამხმარე სახელმძღვანელო და 30 სამეცნიერო სტატია. არის 7 გამოგონების (პატენტი) ავტორი. მისი ხელმძღვანელობით აღიზარდნენ და წარმატებით მოღვაწეობენ ათეულობით სპეციალისტი, დოქტორანტი და მაგისტრანტი.

წარმატებულად მოღვაწეობის მანძილზე ემზარ ძირკვაძემ არაერთი მადლობა დაიმსახურა ხელმძღვანელობისა და მთავრობისაგან. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით და სხვა მრავალი სახელმწიფო ჯოლდით.

ბატონი ემზარ ძირკვაძე ყველგან თესავდა სიკეთეს, იყო გულისხმიერი და გარემომყოფთათვის სასურველი პიროვნება და თანამშრომელი. სამწუხაროდ, ძალიან ადრე წავიდა ჩვენგან ღირსეული მამულიშვილი, ნიჭიერი პედაგოგი, მომავალი თაობის აღმზრდელი, გამოცდილი, ერუდირებული, პროფესიონალი, გულისხმიერი, კეთილშობილი და საუკეთესო ადამიანი. იგი იყო შესანიშნავი მეოჯახე, საუკეთესო მეგობარი, თავის პიროვნული თვისებებით გამორჩეული ადამიანი. სწორედ ასეთად დარჩება იგი ქართველი საზოგადოების, მისი ყოფილი თანამშრომლებისა და მეგობრების მესიერებაში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ცვლილება მთავრობაში და საბანკო რეჟიმში ჯანდაცვაში

პირველი პირადი

რაც შეეხება ვახტანგ ბალაძეს, მას, პრემიერის თქმით, **"დალაგებული ენერგეტიკის სამინისტრო ჩაბარდა"**.

მთავრობის სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ მთელი კაბინეტი გურიის რეგიონში გაემგზავრება და მომდევნო რამდენიმე დღის განმავლობაში ადგილობრივ მოსახლეობას შეხვედება, მათი პრობლემების შესახებ მოისმენს და გადაწყვეტას ხალხს ახალ სამთავრობო გეგმას - "მეტი სარგებელი ხალხს".

გარდა ამისა, გუშინ საქართველოს მთავრობის სხდომაზე სოციალური მომსახურების სააგენტოს უფროსმა რამაზ სულაბანიძემ "სამუშაოს მაძიებელთა აღრიცხვის პროგრამის" მიმდინარეობის პრეზენტაცია წარადგინა.

"სამუშაოს მაძიებელთა აღრიცხვის პროგრამის" ფარგლებში უმუშევართა და სამუშაოს მაძიებელთა საერთო რაოდენობა დადგინდა, რამაც 763 000 ადამიანი შეადგინა.

ტრენინგი გაიარა 3000-მა დასაქმების აგენტმა. მონაცემების სრულყოფის მიზნით, აგენტის მერვე ნახევრიდან ბაზაში შეყვანილი პირების სატელეფონო გადამოწმება დაიწყება. უმუშევართა და სამუშაოს მაძიებელთა გამოკითხვა ოქტომბრის ბოლოს დასრულდება, რის შემდეგაც "სამუშაოს მაძიებელთა აღრიცხვის პროგრამის" სრულყოფილი ბაზა დასაქმების სახელმწიფო მინისტრის აპარატს გადაეცემა.

ვანო მერაბიშვილმა ჯანდაცვის მინისტრ ზურაბ ჭიაბერაშვილს სექტემბრიდან ახალი სადაზღვევო პროგრამის განხორციელების გამო ჯანდაცვის სამინისტროს საგანგებო რეჟიმზე გადასვლის დავალება მისცა.

"ყველა ერთად გავაკეთოთ მობილიზაცია და საგანგებო რეჟიმზე გადავიდეთ. სადაც რესურსი არ გვეყოფა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ჩავართოთ. ბოლო დღეებში მედპერსონალთან გამართული შეხვედრების შემდეგ შეიქმნა საერთო სურათი, რომ შეიძლება, პრობლემები წარმოიქმნას. ჩვენ ერთად ვიყავით და ვნახეთ, როგორ მუშაობს ცხელი ხაზი. ჩვენ ერთად შევხვედით პოლიკლინიკების წარმომადგენლებს, რომელთაც ყველაზე მეტად მოუწევთ ახალი დაზღვევების მიღება და უკვე შექმენა ზოგადი წარმოდგენა, რა ტიპის პრობლემებს ექნება ადგილი. ამიტომ,

გთხოვთ, ყველა ერთად გავაკეთოთ მობილიზაცია და გადავიდეთ საგანგებო რეჟიმზე," - განაცხადა მერაბიშვილმა.

სამთავრობო ცვლილებების შესახებ კომენტარები პარლამენტის წევრებმაც გააკეთეს. პარლამენტარები არ გამოირიცხავენ, რომ მინისტრთა კაბინეტში მორიგი საკადრო ცვლილების მიზეზი მთავრობის ახალი ხედვა და ტაქტიკაა. **"ამავდროულად, მთავრობას აქვს ახალი სამოქმედო გეგმა - "მეტი სარგებელი ხალხს". მთავრობაში ყველაფერი კეთდება პრიორიტეტული მიმართულებების - დასაქმების, ჯანდაცვის და სოფლის მეურნეობის სფეროებში დაგეგმილი ცვლილებების განსახორციელებლად,"** - განაცხადა ვიცე-სპიკერმა გიგი წერეთელმა.

"ნაციონალური მოძრაობის" 10 კანდიდატი თბილისში

დათო ბაჩიშვილი

გუშინ "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ცენტრალურ ოფისში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ და თბილისის მერმა გიგი უგულავამ, რომელიც პარტიის თბილისის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარეა, თბილისის მაჟორიტარობის ათივე კანდიდატი წარადგინეს. ბაქრაძემ კანდიდატების დახასიათებისას აღნიშნა, რომ ერთ ნაწილს წლების განმავლობაში პარლამენტში მუშაობის გამოცდილება აქვს, დანარჩენები კი აღმასრულებელ ხელისუფლებაში არიან წარმატებულები. **"ჩვენ მიერ წარმოდგენილ გუნდში ახალი და უცხო სახე არავინ არის,"** - შენიშნავეს ბაქრაძე.

ისნის საარჩევნო ოლქში კენჭს იყრის გიორგი ვაშაძე, იუსტიციის მინისტრის მოადგილე; საბურთალოს რაიონში - ანდრია ურუშაძე, თბილისის მერის ამჟამინდელი მოადგილე და ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი; კრწანისში - დავით საყვარელიძე.

ქე, რომელიც მთავარი პროკურორის მოადგილის თანამდებობიდან გადადგა. ვაკეში - გიორგი კარბელაშვილი, ეკონომიკის მინისტრის მოადგილე.

"24 საათი" კარბელაშვილს ვაკეში მისი შერჩევის მიზეზის შესახებ ესაუბრა. **"მიშა სააკაშვილის შემდეგ "ნაციონალური მოძრაობიდან" ვაკეში საპარლამენტო არჩევნებში არავის მოუვია. აქედან გამომდინარე, ჩემთვის ცხოვრებაში ყველაზე დიდი პატივი, პასუხისმგებლობა და გამოწვევაა ის, რომ ჩემმა გუნდმა მე დამასახელა,"** - უთხრა "24 საათს" კარბელაშვილმა.

რაც შეეხება მოქმედ დეპუტატებს, სამგორიდან კენჭს იყრის პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი, რომელიც 1995-დან 2002 წლამდე ამ რაიონის მაჟორიტარი იყო.

"ნაციონალური მოძრაობის" გენერალურმა მდივანმა "24 საათს" უთხრა, რომ მაჟორიტარ კანდიდატად კენჭისყრის გადაწყვეტილების მიღებამდე სამგორში რამდენიმე შეხვედრა გამართა. **"მე ყველაზე მთავარ**

ხალხს, სამგორელებს ვკითხე - მქონდა თუ არა შანსი ისევე მათთან მივსულიყავი და მებრძოლა? განსხვავებული პასუხები მივიღე, მაგრამ ჯამში მაინც მივიღე გადაწყვეტილება, კენჭი მეყარა," - აღნიშნა მიხეილ მაჭავარიანმა.

მთაწმინდის ოლქში კანდიდატად "ნაციონალურმა მოძრაობამ" მოქმედი მაჟორიტარი არჩილ გეგენავა დაასახელა. ჩულებურეთის ოლქში ანდრო ალაიძეა დასახელებული, რომელიც ამავე რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი 2010 წლის მაისში ჩატარებულ მთავალეფური არჩევნებით გახდა.

ნაძალადევის რაიონში ძალებს ისევე დეპუტატი მერაბ სამადაშვილი მოსინჯავს. იგი ამ რაიონის მაჟორიტარ დეპუტატად 3-ჯერ უკვე იყო არჩეული. როგორც მერაბ სამადაშვილმა "24 საათს" უთხრა, მაჟორიტარობის კანდიდატად კვლავ მისი დასახელება გუნდის ერთობლივი გადაწყვეტილება იყო.

დიდებუძო "ნაციონალური მოძრაობა" რამდენიმე კანდიდატზე მუშაობდა და პარტიამ საბოლოო არჩევანი თბილისის

საკრებულოში ამავე ოლქიდან არჩეულ გიორგი ჩაჩანიძეზე გააკეთა. ამავე პრინციპით შეარჩიეს გლდაში ნიკოლოზ ხაჩირაშვილი, რომელიც ამჟამად თბილისის საკრებულოში სწორედ ამ რაიონს წარმოადგენს.

დავით ბაქრაძის თქმით, კანდიდატების ერთიანად დასახელების შემდეგ მათ თითოეულს საარჩევნო ოლქში გიგი უგულავა გაუწევს მეგზურობას და ინდივიდუალურად წარადგენს.

"ამ შესანიშნავ ათეულს დამატებით წარდგენა არ სჭირდება," - აღნიშნა გიგი უგულავამ პრეზენტაციაზე და ის არგუმენტიც ჩამოაყალიბა, თუ **"რატომ უნდა ავირჩიოთ "ნაციონალური მოძრაობა" 8 წლის შემდეგაც?** - ამ კითხვაზე პასუხი კი შემდეგ კითხვაში დევს, - **არის თუ არა საქართველო უკეთესი ქვეყანა და თბილისი უკეთესი ქალაქი, ვიდრე 8 წლის წინათ?"**

უგულავას მტკიცებით, საქართველოს მოქალაქეებს წარსულში დაბრუნება და წარსულზე ოცნება არ უნდა. **"ჩვენი მოქალაქეები აშენებულის დანგრევას არ დაუშვებენ,"** - აღნიშნავეს გიგი უგულავა.

"ქართული ოცნება" ნინო ბურჯანაძეს გადანაცვლებას უწონებს

კოალიცია "ქართული ოცნება" დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოს მიერ არჩევნებში მონაწილეობაზე უარს გონივრულ გადაწყვეტილებად აფასებს.

"ეს მისასალმებელი ინიციატივაა. მოგეხსენებათ, რომ ოპოზიციის ხმების დაქსაქსვა ხდებოდა ხოლმე მაშინ, როცა ერთსა და იმავე ოლქში მაჟორიტარობის კანდიდატი სხვადასხვა ოპოზიციური პარტიიდან იყო წარმოდგენილი. ასეთ შემთხვევაში, ხშირად ოპოზიციის ერთმანეთს ხმებს ართმევდა და ვერ იმარჯვებდა. ამის ნაცვლად ძალების კონსოლიდაცია რომ ყოფილიყო, თავისუფლად იქნებოდა შესაძლებელი სახელისუფლო კანდიდატის დამარცხება. ასე რომ, ნინო ბურჯანაძის ეს გადაწყვეტილება გონივრული და ნამდვილად სახელმწიფოებრივია, რაც ბიძინა ივანიშვილმაც აღნიშნა," - განუცხადა კოალიციის პრესსპიკერმა მათა ფანჯავიძემ ჟურნალისტებს.

ნინო ბურჯანაძის გადაწყვეტილებას "ღირსეულ პოლიტიკურ ფესტს" უწოდებს "სახალხო კრებაც".

"ნინო ბურჯანაძის ეს გადაწყვეტილება მიმართულია იმისკენ, რომ არჩევნებზე რეალური ოპოზიციური ელექტორატის ხმები არ დაიფანტოს. დემოკრატიული მოძრაობა და "სახალხო კრება" ყოველთვის ერთიანი ოპოზიციური ფორონტის შექმნის მომხრენი იყვნენ და მაინცდათ, რომ დიდი ერთობით უფრო ადვილად იქნებოდა არსებობა რეჟიმის დამარცხება. საზოგადოების აზრით, დღეს არსებობს რეალური ოპოზიციური ძალა - კოალიცია "ქართული ოცნება", რომელსაც არჩევნებში ამ ხელისუფლების დამარცხება ძალუძს. სწორედ ამიტომ ნინო ბურჯანაძემ ღირსეული პოლიტიკური ფესტი გააკეთა და მაინცდათ, რომ მისი ეს ნაბიჯი სამოქალაქო საზოგადოების მაქსიმალური კონსოლიდაციისკენ იყო მიმართული," - განაცხადა ირაკლი ბათიაშვილმა.

ცნობისათვის - რამდენიმე დღის წინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, რომ "დემოკრატიული მოძრაობა" საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს და ამის მიზეზად ოპოზიციური ხმების დაქსაქსვის თავიდან აცილება დაასახელა.

"ლეიბორისტების" განცხადებით, სააკაშვილ-ივანიშვილის დაპირისპირება მოჩვენებითია

"ლეიბორისტების" განცხადებით, სააკაშვილ-ივანიშვილის დაპირისპირება მოჩვენებითია. როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე "ლეიბორისტული პარტიის" პოლიტიკურმა მდივანმა კახა ძაგანია განაცხადა, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსა და "ქართული ოცნების" ლიდერ ბიძინა ივანიშვილს ყოველთვის კარგი ურთიერთობა ჰქონდათ და მათი მეგობრობა არჩევნების შემდეგაც გაგრძელდება.

"როდესაც ლეიბორისტული პარტია რეჟიმს სისხლის ბოლო წვეთამდე ებრძოდა, კრიმინალ-ოლიგარქი ივანიშვილი სააკაშვილს არა მარტო მილიარდებს სწუქნიდა, არამედ მის სასარგებლოდ საკუთარი სოფლის ხმების პრივატიზებასაც კი ახდენდა. მე ხელთ მაქვს ფოტოგამაღებელი მოლალატორბრივი ფიც-ხელტყლის მტკიცებულება, სადაც სააკაშვილზე ოლიგარქის 100-პროცენტითი მხარდაჭერა საარჩევნო ოქმებშია განიფთხებული. კიდევ ერთხელ გაფრთხილებთ - კრიმინალის დღევანდელი დაპირისპირება მოჩვენებითია და ოქტომბრის არჩევნების შემდეგ მათი ურთიერთობა იქნება ისეთივე ძვირი, როგორც აქამდე," - განაცხადა ძაგანია.

კახა კუკავამ სოფელ ახაშენში შეხვედრა გამართა

"თავისუფალი საქართველოს" ლიდერ კახა კუკავას განცხადებით, სანამ საქართველოს ხელისუფლებაში ვანდრეტილი კონტროლირებადი ძალები იქნებიან, მდგომარეობის გამოსწორების პერსპექტივები არ იარსებებს. ამის შესახებ კახა კუკავამ გურჯაანის რაიონის სოფელ ახაშენში მოსახლეობასთან შეხვედრისას ისაუბრა.

კუკავამ მოსახლეობას პარტიის პროგრამაც გააცნო და მათი შეხვედრების მოსმინა. როგორც პარტიის თავმჯდომარემ აღნიშნა, კახელებისთვის ყველაზე საინტერესო რუსულ ბაზარზე ქართული პროდუქციის დაბრუნების პერსპექტივა და ამ კუთხით "თავისუფალი საქართველოს" მიერ განუხლები სამუშაო აღმოჩნდა. კუკავას თქმით, ახაშენის მოსახლეობამ "თავისუფალი საქართველოს" მხარდაჭერა და თანადგომა გამოუცხადა.

მერიის უარი არაფრად ცვლის

"ქართული ოცნება" რუსთავის აქციას მაინც ყიული შარტავას მოედანზე გამართავს

მარი ახსიაშვილი

რუსთავის მერიის უარის მიუხედავად, "ქართული ოცნება" 19 აგვისტოს აქციას ყიული შარტავას მოედანზე მაინც გამართავს. კოალიციის ერთ-ერთი ლიდერის ზვიად ძიძიუგის განცხადებით, რუსთავის მერიამ კოალიციას მერიის მიმდებარე ტერიტორიასა და მეგობრობის გამზირზე აქციის ჩატარებაზე უარი უთხრა.

"მერიის წინ მდებარე მოედნის შესახებ ვკითხვეს, რომ თავად აქვთ ღონისძიება, ხოლო მეგობრობის გამზირის შესახებ ამბობენ, რომ იქ მემორიალის მშენებლობა მიმდინარეობს. ამის შემდეგ მივანოდეთ ინფორმაცია, რომ აქციას ყიული შარტავას სახელობის

მოედანზე გავმართავთ. მერია ამოხეცს საკმაოდ დაბნეულად გამოიყურება. გვეუბნებიან, რომ ტრანსპორტის მოძრაობა შეფერხდება და მოსახლეობა შეწუხდება," - აღნიშნა ძიძიუგმა და დასძინა, რომ ის ალტერნატიული ტერიტორიები, რომლებიც მერიამ კოალიციას შესთავაზა, მათთვის მიუღებელია, რადგან რაგბის მშენებარე სტადიონზე ქვეწარმავლები არიან, ხოლო რუსთავის ავტობაზრობის მიმდებარე ტერიტორია ქალაქგარეთაა.

"არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, კოალიციას არ გააჩნია ვალდებულება, წინასაარჩევნო შეხვედრისთვის მერიისგან ნებართვა აიღოს. რუსთავის მერიას მიაჩნია, რომ ისინი არიან ნებართვების გაცემის ფუნქციით აღ-

ჭურვილები. კანონმდებლობით, ისინი ვალდებული არიან, მიიღონ ინფორმაცია, რომელსაც ჩვენ მივანოდებთ და ჩვენ მათ ვანვით ინფორმაციას, რომ აქციას ყიული შარტავას სახელობის მოედანზე გავმართავთ. მოვუწოდებ რუსთავის მერიას, დაგვეხმარონ ამ შეხვედრის მოწყობაში, რათა მობილიზებული იყოს პოლიცია, სასწრაფო დახმარება, სახანძრო და ა.შ." - ამბობს ძიძიუგური და აცხადებს, რომ კოალიციის წარმომადგენლებმა ამ ფაქტის შესახებ საქმის კურსში ჩააყენეს უწყებათაშორისი კომისია.

მისივე განმარტებით, 19 აგვისტოს ღონისძიება მხოლოდ რუსთავის აქცია იქნება, ხოლო ქვემო ქართლის აქცია მოგვიანებით მარნეულში გაიმართება.

რუსთავის მერია კი, "ქართული ოცნების" მიერ ყიული შარტავას მოედანზე აქციის ჩატარების შემთხვევაში პასუხისმგებლობას იხსნის. როგორც საინფორმაციო პორტალ News.ge-ს რუსთავის მერიის პრესსამსახურში განუცხადეს, მათ "ქართულ ოცნებას" შარტავას მოედანზე აქციის ჩატარებაზე უარი იმ მოტივით უთხრეს, რომ მოედანი ქალაქის ცენტრალურ ადგილზე მდებარეობს და ქუჩის გადაკეცივით მოსახლეობა შეწუხდება.

"იმ შემთხვევაში, თუ კოალიციისგან კიდევ ერთ წერილს მივიღებთ იმის შესახებ, რომ აქცია მაინც შარტავას მოედანზე გაიმართება, ჩვენ "ქართულ ოცნებას" კიდევ ერთ ალტერნატიულ ფართს - მეტალურგიული ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე შევთავა-

ზებთ," - აცხადებენ რუსთავის მერიამ და შენიშნავენ, რომ მათ მხოლოდ რეკომენდაციის გაცემა შეუძლიათ ამა თუ იმ ადგილის შესახებ. ხოლო, თუ კოალიცია აქციას მაინც ყიული შარტავას მოედანზე ჩაატარებს, სასწრაფო დახმარებისა და პოლიციის მობილიზებისთვის შესაბამის სამსახურებს უნდა მიმართოს.

როგორც რუსთავის მერიამ განმარტავენ, "ქართული ოცნების" წარმომადგენლებს მერიამ გამაფრთხილებელი წერილის შეტანის მცდელობა 11 აგვისტოს ჰქონდათ, ხოლო მათაც კოალიცია ქალაქის რემონტისთვის აცნობებდა, რომ აქციის გამართვას შარტავას მოედანზე გეგმავდა. თუმცა, 11 აგვისტო არასამუშაო დღე იყო და გამაფრთხილებელი წერილის შეტანა ვერ მოხერხდა.

ქლიერი მინისძვრა ირანში

ივანე შილაქაძე



შაბათიდან კვირამდე ღამით ირანის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, პროვინცია აღმოსავლეთ აზერბაიჯანში ქლიერი მინისძვრა მოხდა, რომელმაც რამდენიმე სოფელი მთლიანად განადგურა. დაზიანებულია შენობები ახლომდებარე ქალაქების ნაწილშიც. ირანის შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ცნობით, დაიღუპა 227 ადამიანი, თუმცა შემდეგ მსხვერპლის რაოდენობა გაიზარდა და 300 კაცს გადასცდა. დაშავებულია 2000 ადამიანი მეტი. აქედან 700 კაცი საავადმყოფოებში მინისძვრიდან პირველსავე საათებში მოათავსეს, დანარჩენებს ამბულატორიული დახმარება აღმოუჩინეს. დაზარალებულთა რაოდენობა 5 ათას კაცს აჭარბებს და ეს რიცხვი, სავარაუდოდ, მნიშვნელოვნად გაიზარდება, როდესაც შენობებისა და მეურნეობებისთვის მიყენებული ზარალი უფრო დეტალურად დაითვლება.

ზედიზედ ორმა ქლიერმა ბიძგმა ირანის ჩრდილოეთი შეზღვევები. პირველი მინისძვრის მანძილზე 6,4 იყო. მისი ეპიცენტრი ქალაქ თავრიზიდან 60 კილომეტრზე, თითქმის ათი კილომეტრის სიღრმეზე დაფიქსირდა. მეორე ბიძგი, 6,3 მაგნიტუდის, ქალაქ ვარზეგანის მახლობლად მოხდა. მათ დაახლოებით 55 მცირე ბიძგი მოჰყვა (ე.წ. "აფტერშოკი") ერთი დღე-ღამის განმავლობაში. ცხადია, მათი მაგნიტუდა გაცილებით

ნაკლები იყო. სახლები დაზიანებულია დაახლოებით 110 დასახლებულ პუნქტში. ადგილობრივი ხელისუფლების ცნობით, თითქმის ყველა დაღუპული სოფლად ცხოვრობდა, რაც ქალაქების მიღმა მშენებლობის დაბალ ხარისხზე მიუთითებს. ქალაქებიდან მსხვერპლი ხარისხსა და ვარზეგანში დაფიქსირდა. მთლიანად არის განადგურებული 4 სოფელი, 60-ში შენობები სერიოზულად დაზიანდა და დაინგრა, მათ უმრავლესობასთან განყდა სატელეფონო კავშირიც.

რყვეები იგრძნობოდა ირანის სხვა პროვინციებშიც, კერძოდ: დასავლეთ აზერბაიჯანში, გილიანში, ზენჯანსა და არდებილში. ნაკლები სიმძლავრით, მაგრამ მაინც საგრძნობი იყო მინისძვრა ირანის მეზობელ აზერბაიჯანსა და სომხეთში.

უბედურების ზონაში ირანმა მამველთა 66 ჯგუფი, სასწრაფო დახმარების 200 მანქანა და 5 ვერტმფრენი გადაისროლა. ირანის წითელი ნახევრმთვარის ორგანიზაციამ რეგიონში უკვე გაგზავნა 3 ათასი კარავი და

ერთ-ერთ სტადიონზე 16 ათასი კაციისთვის ბანაკი მოაწყო. თუმცა უკვე ორშაბათს სამაშველო ოპერაციის ფორმატი შეიცვალა. ხელისუფლების უმთავრესი საზრუნავია უსახლკაროდ დარჩენილთა მომარაგება საკვებით, სასმელი წყლით და დროებითი თავშესაფრით. მინისძვრის შემდგომი ბიძგების გამო ხალხს უმრავლესობამ აღმოსავლეთ აზერბაიჯანში ღამე ღამე ცის ქვეშ გაატარა. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის შასან ლადამის სიტყვებით, რომე-

ლიც პასუხს აგებს სამაშველო ოპერაციაზე, ნანგრევებში მოყოლილი ცოცხალი ადამიანები უკვე გადაარჩინეს. სოფლების უმრავლესობაში დაღუპულები არ არიან.

ირანს დახმარება უკვე შესთავაზეს მეზობელმა სახელმწიფოებმა - აზერბაიჯანმა, თურქეთმა და რუსეთმა. თურქეთის წითელი ნახევრმთვარის ორგანიზაციამ ირანისკენ ჰუმანიტარული დახმარებით დატვირთული ავტომანქანები უკვე გაგზავნა.

ირანის სულიერმა ლიდერმა აიათოლა ალი ჰამენეიმ ხალხს მოთმინებისა და გამძლეობისკენ მოუწოდა. პრეზიდენტ მამუდ აჰმადინეჯადის განცხადებაში გამოთქმულია სამი-მარტი დაღუპულების ოჯახის წევრების მიმართ. ორშაბათი და სამშაბათი ირანში გლოვის დღეებად არის გამოცხადებული.

მინისძვრები ირანში იშვიათი მოვლენა არ არის. ეს ქვეყანა მსოფლიოს სეისმურად საშიში ზონების ათეულში შედის. იქ 7 ბალზე უფრო ძლიერი მინისძვრა თითქმის ყოველ ათ წელიწადში ხდება. წინა საუკუნეში ოც ქლიერ მინისძვრას 170 ათასი ირანელი შეენიჭა. ყველაზე ძლიერი მინისძვრა ამ ქვეყანაში 2003 წელს მოხდა. მაშინ 6,6 მაგნიტუდის მინისძვრას ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში 30 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეენიჭა, დაშავდა 42 ათასი ადამიანი. თითქმის მთლიანად დაინგრა ისტორიული ქალაქი ბამი და მასში მდებარე ძველი და ცნობილი ციხე-სიმაგრე.

გავლენის ზრდის მიუხედავად, თურქეთი გამოწვევების წინაშე დგას

წინა კვირაში ახლო აღმოსავლეთის ინსტიტუტის თურქეთის შესწავლის ცენტრისა და თურქეთის შესწავლის ინსტიტუტის თანამშრომლობით, თურქეთის შესახებ რიგით მესამე ყოველწლიური კონფერენცია გაიმართა, სადაც რამდენიმე საინტერესო საკითხზე იმსჯელეს.

კონფერენციას 700 ადამიანი ესწრებოდა და გასაგებიც არის, რატომ: ბოლო ათწლეულის განმავლობაში, მმართველი "სამართლიანობისა და განვითარების" პარტიის მეთაურობით, თურქეთი მნიშვნელოვან გლობალურ მოთამაშედ იქცა. ამასთან, თურქეთი უფრო მოქნილი და წინასწარ განუსაზღვრელ საგარეო პოლიტიკის კურსს დაადგა. რამდენიმე წლის წინ ევროკავშირსა და ბუშის ადმინისტრაციას ადანაშაულებდნენ, რომ ისინი თურქეთს აიძულებდნენ, უარი ეთქვა დასავლეთზე და რუსეთთან, ირანთან, სირიასთან თუ სხვა ანტიდასავლურ რეჟიმებთან დაემყარებინა კავშირები. 2003 წელს ამერიკის ერაყში შეჭრას თურქეთი აქტიურად შეენიშნა და პენტაგონი ერაყელი ქურთებისთვის მეტი ავტონომიის მიცემაში დაადანაშაულა.

ახლა, როგორ ჩანს, თურქეთი ადგილობრივ გამოწვევებს დასავლეთთან უფრო დაახლოებით სცემს პასუხს და, როგორც აღნიშნავენ, ამერიკა-თურქეთს შორის "ოქროს ხანა" დადგა, რასაც კონფერენციაზე გამომსვლელები რამდენიმე მიზეზით ხსნიან: ერაყიდან ამერიკული ჯარების განვითარებამ თურქეთს ვაშინგტონთან თანამშრომლობის დიდი სტიმული მისცა; ამასთან, არაბეთში მიმდინარე მოვლენების შემდეგ ეს ქვეყნები უფრო აქტიურად თანამშრომლობენ; სირიისა და ირანის შემთხვევაში კი ანკარა მიხვდა, რომ ამერიკასთან კარგი ურთიერთობით ახლო აღმოსავლეთში (და

არა მარტო) უმნიშვნელოვანესი მიზნების მიღწევა იქნება შესაძლებელი.

თუმცა, მიუხედავად არსებული მიღწევებისა, ორ ქვეყანას შორის პრობლემებიც არსებობს. ნოემბრის არჩევნების შემდეგ ამერიკის მთავრობის პოლიტიკის დიდი შემობრუნება მოხდება, იმისდა მიუხედავად, თუ ვინ მოიგებს არჩევნებს. რეგიონულმა დაპირისპირებებმა - სომხეთ-აზერბაიჯანისა თუ რუსეთ-საქართველოს შესაძლო ომი მომავალში, ან ამერიკა-ისრაელის დარტყმა ირანზე, ან თურქეთ-ისრაელის მორიგი დაპირისპირება - შესაძლოა, ორმხრივი ურთიერთობები დააზიანოს. თუმცა ორმა ქვეყანამ კარგად უნდა გაიაზროს და ახსოვდეს, რომ მათ გაფუჭებული ურთიერთობების აღსადგენად წლები დასჭირდა.

როგორც კონფერენციაზე არაერთმა მომხსენებელმა აღნიშნა, ორი ქვეყნის ურთიერთობაზე ყველაზე ცუდად, შესაძლოა, ამერიკა-ისრაელის ახლო ურთიერთობამ იმოქმედოს, განსაკუთრებით, ამერიკის კონგრესის პოზიციამ.

მართალია, თურქეთ-ისრაელს შორის ეკონომიკური კავშირები კვლავ არსებობს, მაგრამ 2010 წელს ისრაელის მიერ ღაზაში მიმავალ ხომალდზე მიტანილი იერიშის შემდეგ, რასაც თურქეთის მოქალაქეები ემსხვერპლნენ, ორი ქვეყანა ერთმანეთის დასჯას დიპლომატიის გზით ცდილობს. თურქეთი ცდილობს, ისრაელი სხვადასხვა საერთაშორისო შეხვედრებიდან გამორიცხოს. ისრაელი კი ცდილობს, უკეთესი კავშირების დამყარებას ისეთ ქვეყნებთან, როგორებიც არიან: საბერძნეთი, კვიპროსი, აზერბაიჯანი თუ რუმინეთი.

ამერიკა-თურქეთის ურთიერთობას თურქეთთან ვაჭრობასა და ინვესტიციებში ამერიკის წილის



შემცირებაც ზღუდავს, რომელიც ახლა ევროკავშირსა და ახლო აღმოსავლეთზე უფროა ორიენტირებული. ამერიკა-თურქეთის ურთიერთობა, რომელიც, ძირითადად, მთავრობებს შორის ურთიერთობებს ეფუძნება, სამოქალაქო და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის გამყარებას მოითხოვს.

ამერიკაში ევროკავშირის დღე-გაცის ნევრი ბრის დე შეტერი აღნიშნავს, რომ ევროკავშირი თურქეთთან ურთიერთობაში ახალი იმპულსის შემოტანას ცდილობს. ევროკავშირსა და თურქეთს შორის ურთიერთობა მთელი რიგი მიზეზების გამოა შეჩერებული. მათ შორის არის ისიც, რომ თურქეთი კვიპროს-

ში საკუთარი პორტების გახსნაზე უარს ამბობს.

თურქეთთან ევროკავშირის ახალი მიდგომის მიზანია, ორ მხარეს შორის პროგრესის მიღწევა იმ საკითხებში, სადაც ამის შესაძლებლობა არსებობს, მიუხედავად იმისა, მოხდება თუ არა ამ ორგანიზაციაში თურქეთის განხვედრება. აღნიშნულ გეგმაში რვა საკითხი შედის, მათ შორის, თურქეთში პოლიტიკური რეფორმების გატარება, უვიზო მიმოსვლა, მიგრაცია, ენერგეტიკა, ვაჭრობა, საგარეო პოლიტიკური დიალოგი, კონტრტერორიზმი.

თუმცა კონფერენციის პირველ ნაწილში ჩამოყალიბებული პრობლემები, რომლებიც ქვეყნის შიდა პოლიტიკას ეხება, შესაძლოა, თურქეთის ამერიკასა და ევროკავშირთან ურთიერთობის მნიშვნელოვან დაბრკოლებად იქცეს. აქ იგულისხმება მთავრობის მიერ თავისუფალი მედიის შეზღუდვა, ქურთების უმცირესობის გადაუნყვებელი პრობლემა და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ფაქტობრივად არარსებობა.

კონფერენციის მონაწილეებმა ამერიკას არაერთხელ მოუწოდეს, აქტიურად იმოქმედოს იმ კრიზისის დაძლევაში, რომელიც ამერიკა-თურქეთის ორმხრივ ურთიერთობას დააზარალებს. მაგალითად, თეთრმა სახლმა ყველაფერი უნდა იღონოს იმ წინააღმდეგობების დასაძლევად, რომლებიც თურქეთსა და ამერიკის მნიშვნელოვან პარტნიორებს - ისრაელს, სომხეთს, ერაყსა თუ ევროკავშირს შორის არსებობს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამერიკა უმთავრეს მოკავშირეებს შორის "გაყოფილი" აღმოჩნდება, მაშინ, როდესაც ამერიკას ყველა მათგანის დახმარება სჭირდება.

"World Politics Review"-ის მიხედვით მოამზადა თამაზ კახაძემ

ეკვიპტის პრეზიდენტმა სამხედრო ხელმძღვანელებს დაითხოვა

ივანე მელიქიძე

ეკვიპტის პრეზიდენტმა მოჰამედ მურსიმ გადააყენა თავდაცვის მინისტრი და უმაღლესი სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე ფელდმარშალი მუჰამედ ჰუსეინ ტანტაუი და გენერალური შტაბის უფროსი სამი ანანი. მურსიმ გააუქმა აგრეთვე კონსტიტუციური დეკლარაცია, რომელიც უმაღლესმა სამხედრო საბჭომ მიიღო ივანისში, მურსის პრეზიდენტად არჩევამდე ორი დღით ადრე. ამ დეკლარაციით სამხედროებმა, ფაქტობრივად, თვითნებურად შეზღუდეს მომავალი პრეზიდენტის უფლებამოსილება და, შესაბამისად, გაიზარდეს საკუთარი უფლებები (ამ თემას დაწვრილებით აშუქებდა "24 საათი" და ის კარგად არის ცნობილი ჩვენი მკითხველისთვის).

სამხედრო საბჭო მარშალ ტანტაუის ხელმძღვანელობით პრეზიდენტ პოსტს მუბარაქის გადადგომის შემდეგ წელიწადნახევრის განმავლობაში მართავდა ქვეყანას. მათ ჩაატარეს საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები, მაგრამ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ მოულოდნელად დაითხოვეს პარლამენტი, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს ეყრდნობოდა თანახმად დარღვევებით იყო არჩეული. შესაბამისად, პრეზიდენტ მოჰამედ მურსისა და სამხედროების

ურთიერთობები საკმაოდ დაძაბულია და მათ შორის უფლებამოსილება რეალურად გამიჯნული არ არის. (პრეზიდენტი არის პანარაბული მოძრაობა "მუსულმანი ძმების" პოლიტიკური ფრთის ეგვიპტეში - "თავისუფლებისა და სამართლიანობის პარტიის" ლიდერი. დათხოვნილ პარლამენტშიც უმრავლესობა ზომიერ და რადიკალ ისლამისტებს ჰქონდათ).

ჰუსეინ ტანტაუის და სამი ანანს პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა ღვაწლისთვის, დაჯილდოვა ეგვიპტის უმაღლესი სახელმწიფო ჯილდოთი "ნილოსის ორდენით" და საკუთარ მრჩეველებად დანიშნა. თავდაცვის მინისტრად და უმაღლესი სამხედრო საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნა გენერალი აბდელ ფატახ ალ-სისი (სხვა ტრანსკრიპციით ალ-სეისი), ხოლო გენერალური შტაბის უფროსად - გენერალი სიდკი სუბხი სეიიდ ახმედი.

გუშინ საღამომდე ჯერ კიდევ ცნობილი არ იყო, თანხმდებოდა თუ არა მარშალ ტანტაუი გადადგომაზე. პოლიტიკური მიმოხილვებები ვერც ეგვიპტეში და ვერც უცხოეთში გადაჭრით ვერ ამბობენ, რომ ამით ძალაუფლებისთვის ბრძოლა დამთავრდა და სამხედროებს "თავისი ადგილი მიუჩინეს". ეს, ცხადია, იცინა "მუსულმანმა ძმებმა" და პრეზიდენტმა მურსიმაც.

განცხადების გაკეთებისას პრეზიდენტმა მურსიმ თქვა, რომ მისი ეს გა-



დანწყვეტილება კონკრეტული ადამიანების წინააღმდეგ არ არის მიმართული. მით უმეტეს, არ აპირებს ზიანი მიყენოს სახელმწიფო ინსტიტუტებს და დათრგუნოს თავისუფლება. მურსის სიტყვებით, მან გადაწყვეტილება "ერის და ხალხის საკეთილდღეოდ" მიიღო. პრეზიდენტმა ვრცლად ისაუბრა ქვეყნის შეიარაღებული ძალების დამ-

სახურებაზე და აღნიშნა, რომ ამიერიდან ისინი მთელ თავიანთ ძალებს "ერის დაცვის წმინდა მისიას" მოახმარენ (სხვათა შორის, დაახლოებით იგივესკენ მოუწოდებდნენ აქამდეც ეგვიპტელ სამხედროებს დასავლეთის სახელმწიფოები. მათ გადადგომას თვეების განმავლობაში აქტიურად ითხოვდა ეგვიპტელთა დიდი ნაწი-

პოლ რაიანი რუსუბლიკელთა ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატი გახდა

პირველი გვარდიანა

პოლ რაიანის წარდგენის დროს, რომელიც მას შეცდომით "შეერთებული შტატების მომავალი პრეზიდენტი უნდა", თუმცა შემდეგ ეს შეასწორა და აღნიშნა, რომ მხედველობაში "ვიცე-პრეზიდენტობა" ჰქონდა.

პოლ რაიანი არის ახალგაზრდა, 42 წლის კათოლიკე, რომელიც დაკავებულია თევზის ჭერი, უსმენს ჯგუფ "Rage Against Machines"-ს და ფულის ეკონომიის მიზნით, ღამეებს ოფისში ათენებს (ცხადია, ვაშინგტონში ყოფნის დროს). რაიანი თავის მშობლიურ შტატ ვისკონსინიდან კონგრესმენად უკვე მუშაობდა ათწლეულებია. პირველად ის კონგრესში 28 წლის ასაკში მოხვდა. 2007 წლიდან დღემდე არის აშშ-ს წარმომადგენელთა პალატის საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე. ის განსაკუთრებით ცნობილი გახდა თავისი 2011-2012 წლის ალტერნატიული ბიუჯეტით - სახელით "გზა აყვავებისკენ", რომელიც ეწინააღმდეგებოდა ბარაკ ობამას ბიუ-

ჯეტს. რაიანი ყოველთვის ამბობდა, რომ მის პოლიტიკურ პრინციპებზე ეკლესიამ დიდი გავლენა მოახდინა; ჰყავს ცოლი და სამი შვილი, ცხოვრობს ქალაქ ჯანესვილში, ვისკონსინის შტატში. პოლ რაიანი რესპუბლიკელების ერთ-ერთ ამომავალ ვარსკვლავად და პარტიის ერთ-ერთ იდეოლოგად მიიჩნევა.

პოლ რაიანს აქვს ეკონომიკური გეგმა მომავალი ამერიკისთვის. მისი ეკონომიკური პროგრამა ითვალისწინებს რიგი ფედერალური სოციალური ხარჯების შემცირებას, როგორც არის, მაგალითად, პენსია, უფასო სამედიცინო მომსახურება პენსიონერებისა და ღარიბებისთვის. რაიანს სურს პენსიების გადახდის სისტემისა და პენსიონერების პრივატიზაცია, ხოლო ღარიბების სამედიცინო დახმარებისთვის თანხები და პასუხისმგებლობა, მისი აზრით, შტატების ადმინისტრაციებში უნდა იყოს დელეგირებული.

მხარდამჭერებთან სიტყვით გამოს-

ვლის დროს რაიანმა განაცხადა, რომ ისინი, რომელთაგან ერთად, "აღადგენენ ამ ქვეყნის ძლიერებას". "რომნი არის ლიდერი აუცილებელი უნარით, გამოცდილებითა და პიროვნული თვისებებით, რომელიც ჩვენ ქვეყანას ისტორიისთვის გადამწყვეტ მომენტში სჭირდება," - განაცხადა მან.

რომნი და რაიანმა დაიწყეს ოთხდღიანი ტურნე აშშ-ს სხვადასხვა შტატებში, სადაც მათ დემოკრატებთან ძირითადი ბრძოლა ელით. ვიზიტის ფარგელებში ისინი ეწვევიან ვირჯინიას, ჩრდილოეთ კაროლინას, ფლორიდასა და ოჰაიოს.

მიმოხილვების განცხადებით, რაიანის გამოჩენამ რესპუბლიკელების წინასაარჩევო კამპანია წინ წაწია. თუმცა, ამასთან ერთად, რაიანი ცნობილი არის თავისი რადიკალური იდეებით სოციალურ ხარჯებში, მათ შორის, ჯანდაცვის სფეროში, რამაც, შესაძლოა, ამომრჩეველთა ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვიოს.

გუშინ რაიანის დასახელებაზე კო-

მენტარი გააკეთა აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ. "პოლ რაიანი ღირსეული ადამიანია, ოჯახის ერთგული. ის აშკარად გამოხატავს რომის შეხედულებებს, მაგრამ მე ამ შეხედულებებს ფუნდამენტალურად არ ვეთანხმები," - განაცხადა თავის საარჩევო კამპანიის დამფინანსებლებთან შეხვედრის დროს ბარაკ ობამამ. ეს განცხადება, ერთი შეხედვით, შესაძლოა, ჩანდეს, როგორც ჩვეულებრივი პოლიტიკური რიტორიკა, მაგრამ პრეზიდენტის მიერ სიტყვების არჩევა წინასაარჩევო ბრძოლის ბუნების ცვლილებაზე მიუთითებს. სავარაუდოა, რომ რაიანისა და ობამას განსხვავებული შეხედულებები მალე წინა ფლანგზე წამოიწეოს.

კერძოდ, რაიანმა ამომრჩეველს შესთავაზა სამედიცინო დახმარების რეფორმა 65 წელს ზემოთ ადამიანებისთვის და იმ მოქალაქეებისთვის, რომლებსაც დაბალი შემოსავლები აქვთ. ამის აუცილებლობაზე ადრე თავად რომნი საუბრობდა. როგორც უკვე ავღნიშნეთ, რაიანი იყო ბიუჯეტის რეფორ-

მის ერთ-ერთი ავტორი, რომელსაც დემოკრატები სოციალური გრანტის საფრთხედ მიიჩნევენ. რომნი აქამდე ფრთხილად ამ დოკუმენტებთან დაკავშირებით და არ აცხადებდა, რომ მათ მთლიანად უჭერდა მხარს.

ჩრდილოეთ კაროლინაში, ქალაქ შაი პოინტში ამომრჩეველთან შეხვედრის დროს რომნისა და რაიანთან შეხვედრად ქუჩაში ათასობით მოქალაქე გამოვიდა, კიდევ დაახლოებით ათასი სამასი მათი მომხრე ავეჯის საწყობის დახუთულ შენობაში შეიკრიბა. "ჩვენ შეგვიძლია ამას გავეუმკლავდეთ, ჩვენ შეგვიძლია ეს ქვეყანა ძველ რეესტრზე დავაბრუნოთ," - მიმართა რაიანმა მოსახლეობას.

უახლოეს დღეებში ამომრჩეველთან შეხვედრებს ობამა და აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტი ჯო ბაიდენიც გამართავენ. პრეზიდენტი ორშაბათს აიოვას შტატს ეწვია, ხოლო ბაიდენი - ჩრდილოეთ კაროლინასა და ვირჯინიას.

"ბი-ბი-სის" მიხედვით მოამზადა სალომე ჯანიაშვილმა

ბირთვული დაპირისპირების საიდუმლო დოკუმენტაცია

ნათანა გაბიძი

ავსტრალიამ რუსეთის ფედერაციისა და ამერიკის შეერთებული შტატების ბირთვული კონფრონტაციის ამსახველი საიდუმლო დოკუმენტაცია გაასაჯაროვა. საქმე როგორც 30 წლის ხანდაზმულ მკვლევარს, რომელიც უმაღლესი სამხედრო ინჟინერი იყო, არამედ შესაძლოა, მან ამჟამინდელ საფრთხეებს ეხება. დაზვერვის საიდუმლო მასალებში საუბარია, თუ რა კატასტროფული შედეგები შეიძლება იქონიებდეს მკვლევარის კონფრონტაციას იმ შემთხვევაში, თუ ამერიკის შეერთებული შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის ბირთვულ თემაზე დაპირისპირება მეტისმეტად გამწვავდებოდა.

ავსტრალიური მედიის ცნობებით, ცივი ომისდროინდელი დოკუმენტაცია არა მარტო ისტორიული კუთხითაა საინტერესო, არამედ შესაძლოა, მან ამჟამინდელ წარმოდგენებსაც დაუმატოს ნიუანსები სრული სურათისთვის. 1980 წელს ანალიზისა და შეფასების ნაციონალური ბიუროში შემუშავებული ანგარიში პრემიერ-მინისტრ მალკოლმ ფრეიზერს აფრთხილებდა, რომ საერთაშო-

რისო ასპარეზზე ურთიერთობების დაძაბვის ფონზე ავღანეთში საბჭოთა ჯარების შეჭრის გამო ჩრდილო-დასავლეთ კონტინენტზე საზღვარის სადგური მოსკოვისთვის უმთავრეს სამიზნედ იქცეოდა ბირთვული ომის დაწყების შემდეგ.

გაზეთ "სიდნეი მორნინგ ჰერალდის" თანახმად, აღნიშნული ტერიტორიის დასახელების მიზეზი მკვლევარებისთვის ის გახდა, რომ ბაზა თავდასხმითი ბირთვული სისტემის შემადგენელი ნაწილი იყო. სპეციალისტები ქვეყნის პირველ პირს აფრთხილებდნენ, რომ ჩრდილოეთ ნახევარსფეროში ბირთვული ომის შედეგები ავსტრალიისთვის შესაძლოა იმაზე გაცილებით სერიოზული გამოდგარიყო, ვიდრე რადიოაქტიური ნარჩენებით გაჯერებული ნალექი იქნებოდა. ანგარიშის ავტორები ირწმუნებოდნენ, რომ კარდინალური ეკონომიკური, დემოგრაფიული და პოლიტიკური ცვლილებები მოხდებოდა. თანაც, უწყების სპეციალისტები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ბირთვული დარტყმის რისკი მხოლოდ საზღვარ კავშირის სადგურისთვის არსებობდა. როგორც ავსტრალიური მედიასაშუალებები იუწყები-

ან, ცენტრალურ ავსტრალიაში პაინ-გეპის თანამგზავრული ბაზა, ნურუნგარში რაკეტების აღმოჩენის სისტემა და მსხვილი ქალაქები მოსკოვის პრიორიტეტულ ამოცანებად არ სახელდებოდა.

მართალია, ზემოაღნიშნული უკვე ისტორიის კუთვნილებაა და დღესდღეობით აღარც საბჭოთა კავშირი არსებობს, მაგრამ იმავე ავსტრალიური მედიის ინფორმაციით, საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე სახელმწიფო - რუსეთის მხრიდან პოტენციური საფრთხე დღემდე შენარჩუნებულია. ერთი სიტყვით, ავსტრალიელი სპეციალისტები, ჟურნალისტებთან ერთად, არ გამოირიცხავენ, რომ ბაზები მწვანე კონტინენტის ტერიტორიაზე დღემდე ექცეოდეს რუსი სამხედროების სამიზნე არეალში.

ამის ვარაუდის საფუძველს ჟურნალისტ ჰემიმ მაკდონალდს საბჭოთა საარაკეტო ჯარების გადამდგარი პოლკოვნიკის ვალერი იარინიჩის აღიარებაც აძლევს, რომელიც ვარაუდობს, რომ ავსტრალიური ბაზები კვლავ დარჩა რუსეთის სამხედროებისთვის შესაძლო ბირთვული თავდასხმის ობიექტებად. თუმცა, კონკრეტული საუბრისგან

იარინიჩმა მინც თავი შეიკავა და საკუთარი პოზიცია, პირველ რიგში, სამხედრო საიდუმლოებით ახსნა; შემდეგ ისიც დაამატა, რომ სამიზნეები მოვლენების სხვადასხვაგვარად განვითარების შემთხვევაში შეიძლება იცვლებოდეს კიდევ.

როგორც ცნობილია, ყველაზე ახლოს ბირთვულ ომთან მსოფლიო 1962 წელს აღმოჩნდა კარიბის კრიზისის დროს. იმის გამო, რომ ძველი თაობის რაკეტებს გასაშვებად კონსტრუქციული თავისებურებების გამო მრავალსაათიანი მომზადება სჭირდებოდა, საკმარისი დრო აღმოჩნდა ჯონ კენედისა და ნიკიტა ხრუშჩოვისთვის შეთანხმების მისაღწევად: დაძაბული გარემოების გათვალისწინებით გამოსავალიც გონივრული მოიძებნა - ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კუბას ბლოკადა მოუხსნა, პარალელურად კი საბჭოთა რაკეტების დემონტაჟი მოხდა. კარიბის კრიზისის დაძლევა გარდამტეხი მომენტი აღმოჩნდა ცივი ომის პერიოდში, მაგრამ ურთიერთობების გამწვავება კიდევ ერთხელ გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისშიც მოხდა, როდესაც ავღანეთში საბჭოთა ჯარები შეიჭრნენ.

დაძაბულობამ პიკს 1983 წელს მიაღწია, როდესაც საბჭოთა ავიაგამანადგურებელმა სამხრეთ კორეის სამოქალაქო ავიალიანტური ჩამოაგდო. "ბორცების იმპერიისთვის" ეფექტური წინააღმდეგობის გასაწევად ვაშინგტონმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, დიდი ბრიტანეთის, დანიის, ბელგიისა და იტალიის ტერიტორიებზე "პერშინგ 2"-ის კლასის საშუალო რადიუსის მოქმედების ბალისტიკური და ფრთოსანი რაკეტები განათავსა. გარდა ამისა, ამერიკის შეერთებული შტატებმა პროგრამა "ვარსკვლავური ომების" შემუშავებაც დაიწყო. საპასუხოდ სსრკ შეენაცვლა მიმდინარე ევროკავშირის შესახებ მოლაპარაკებებს გამოეთიშა, ხოლო ხელმძღვანელობამ ოფიციალურ ვაშინგტონს ალუთქვა, რომ კონტროლზე აუცილებლად მიიღებდა. დაზვერვის მონაცემებით, 1980-იანი წლების შუა პერიოდში საბჭოთა ბირთვული ძალები და რაკეტების საფრთხის შესახებ გამაფრთხილებელი სისტემა მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში იმყოფებოდა. როგორც ჩანს, სწორედ მაშინ გაჩნდა ცნობები ბირთვული თავდასხმებისთვის პოტენციურ სამიზნეებზე.

| 0% - ღან

შეიძინეთ
ახალი ან მეორადი
ავტომობილი



 ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC
ავტო სესხების განყოფილება

290 90 90
* 90 90
BR. GE

ელექტრონული განვითარების საბიზნოსო სინდრიკატი

პირველი გვერდიდან

"ამ მიმართულებით მუშაობა სიმბოლურად ბოლნისიდან დაიწყო, ადგილიდან, სადაც პირველი ქართული წარწერა მოიპოვეს. ეს ხიდი, წარსულსა და აწმყოს შორის, წიგნიერებაზე გადის და ჩვენი მოვალეობაა სწორედ მისი შენარჩუნება"- ამბობს გიორგი კეკელიძე.

ბოლნისის საქალაქო ბიბლიოთეკას ფოტოარქივზე სამუშაოდ სკანერი გადასცეს და ეროვნულ ბიბლიოთეკაში მიმდინარე პროექტები გააცნეს. პროექტ "ივერიელი", რომლის მიზანი ელექტრონული ბიბლიოთეკის ფონდებში დაცული წიგნების, ჟურნალების, გაზეთების, ფოტოებისა და სხვა იშვიათი გამოცემების გაცეფრებაა, უკვე ბოლნისის საქალაქო ბიბლიოთეკაც ჩაერთო. ბიბლიოთეკის თანამშრომლები ციფრულ ფორმატში გადაიტანენ საოჯახო ალბომებში დაცულ მასალებს და პორტრეტების გარდა, იმუშავენ თითქმის ორი საუკუნის წინ ბოლნისში ჩასახლებული გერმანული კოლონიის ცხოვრების ამსახველ ფოტოებზეც.

